საპარლამენტთაშორისო კავშირში (IPU)
საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის

წლიური ანგარიში

პერიოდი: 2019 წლის იანვარი - 2020 წლის იანვარი

წლის სტატისტიკა:

- 2 ასამბლეაში მონაწილეობა;

2019 წლის 6-10 აპრილი

დოჰა, კატარი, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) რიგით 140-ე ასამბლეა

დელეგაციის შემადგენლობა: ირაკლი კობახიძე; მამუკა მდინარაძე; დავით მათიკაშვილი; გიორგი ხატიძე; ივლიანე წულაია; დავით ბაქრაძე; გივი მიქანაძე; ნიკოლოზ სამხარაძე; თამარ ყოლბაია; მაგდა ანიკაშვილი; ირაკლი ბროკიშვილი; არჩილ წიქარიშვილი.

ღონისძიების თემა: პარლამენტები, როგორც პლატფორმა განათლების განმტკიცებისთვის მშვიდობის, უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობისთვის

<u>ძირითადი აქტივობები:</u>

- ასამბლეის ფარგლებში გაიმართა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის მნიშვნელოვან განაცხადს და ქართული დელეგაციის აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველო უმასპინძლებს საპარლამენტთაშორისო კავშირის ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო კონფერენციას. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს პარლამენტი პირველად უმასპინძლებს მსგავსი მაღალი წარმომადგენლობის ღონისძიებას საპარლამენტთაშორისო კავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრა გამართა საპარლამენტთაშორისო კავშირის პრეზიდენტთან, გაბრიელა კუევას ბარონთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებულ დეტალებზე. IPU-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს გამჭვირვალობისა და საჯარო ადმინისტრირების კუთხით. მნიშვნელოვანია, საქართველომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს ინსტიტუტების რეფორმირების, კორუფციასთან ბრძოლის, ღია მმართველობის, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერების მიმართულებით არსებული გამოცდილება გაუზიაროს. შეხვედრაზე საპარლამენტთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა საქართველოში სტუმრობის სურვილი გამოთქვა.
- გარდა ამისა, შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტსა და IPU-ს შორის თანამშრომლობის საკითხებზე. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გაბრიელა კუევას ბარონს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

- ასამბლეის ფარგლებში, საპარლამენტთაშორისო კავშირის კიდევ ერთი უმაღლესი დონის ახალი პლატფორმის შეხვედრა, ***„პარლამენტის თავმჯდომარეების დიალოგი“*** გაიმართა, რომელშიც 80 ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარემ, მათ შორის ირაკლი კობახიძემაც მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების შესახებ იმსჯელეს. ასევე, გაიმართა მაღალი დონის სადილი პარლამენტის თავმჯომარეების მონაწილეობით, რომელსაც საპარლამენტთაშორისო კავშირის პრეზიდენტი, გაბრიელა კუევას ბარონი და გენერალური მდივანი, მარტინ ჩუნგონგი მასპინძლობდნენ. დებატები ასამბლეაზე 4 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ქართული დელეგაციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები განხილვებში თემის გარშემო.

<u>ორმხრივი შეხვედრები</u>

- ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა სხვადასხვა წევრი ქვეყნების კერძოდ, სან ტომე და პრინსიპის, ბურკინა ფასოს, თურქეთის, ჯიბუტის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ვიეტნამის, ირანის, კატარის, ბუტანის, ბარბადოსის, ტონგას, ფიჯის, დომინიკას, გაბონისა და შრი ლანკის პარლამენტის თავმჯდომარეებთან და ახალი ზელანდიისა და მალდივების ვიცე-სპიკერებთან. პარლამენტის თავმჯდომარემ ვიზიტის ფარგლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, კატარის ემირთან გამართა.
- შეხვედრებზე განიხილეს საპარლამენტო თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. ქართულმა დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე. პარლამენტის თავმჯდომარემ კოლეგებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ რთულ ვითარებაზე. მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურების საკითხები განიხილეს. ყურადღება პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებაზე გამახვილდა.

<u>პარლამენტის გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) შეხვედრები:</u>

- ასამბლეის პარალელურად, ტრადიციულად გაიმართა პარლამენტის გენერალური მდივნების ასოციაციის შეხვედრები, სადაც საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი გივი მიქანაძე, ხმათა უმრავლესობით 3 წლის ვადით აირჩიეს ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ასოციაციის მმართველ ორგანოში, რომელიც 180-მდე ქვეყნის პარლამენტის 300-ზე მეტ წევრს აერთიანებს, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ერთადერთი წარმომადგენელი იქნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველად ეყოლება წარმომადგენელი ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტში.
- ასოციაციის შეხვედრებზე მსჯელობა პარლამენტების ინსტიტუციური გაძლიერების, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისა და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურების საკითხებზე გაიმართა. გივი მიქანაძემ რეგიონული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა და კოლეგების წინაშე პრეზენტაციით წარსდგა. მან თავის გამოსვლაში ყურადღება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტების კვლევით ცენტრზე (EPPRN) გაამახვილა, რომელიც, მისი შეფასებით, თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა ასოციაციის წევრებს ცენტრის მუშაობის სპეციფიკა და გამოცდილება გააცნო, ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებაც და კოლეგებს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

2019 წლის 13-17 ოქტომბერი
ბელგრადი, სერბეთი. საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) რიგით 141-ე ასამბლეა.
დელეგაციის შემადგენლობა: გიორგი ვოლსკი, გივი მიქანაძე, ირაკლი ბროკიშვილი.
ღონისძიების თემა: საერთაშორისო სამართლის გაძლიერება: საპარლამენტო როლი, მექანიზმები და რეგიონული თანამშრომლობის კონტრიბუცია.

<u>ძირითადი აქტივობები:</u>

- ღონისძიებაში 140-მდე ქვეყნის 700-მდე პარლამენტის წევრი, მათ შორის 80-მდე პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობდა. საერთაშორისო სამართლის გაძლიერება: *<u>საპარლამენტო როლი, მექანიზმები და რეგიონული თანამშრომლობის კონტრიბუცია,</u>* ამ თემაზე გენერალური დებატები 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.
- ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა, მათ შორის, სერბეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჟარკო ობრადოვიჩთან და საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან დუბრავკა ფილიპოვსკისთან. შეხვედრაზე სერბეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე ისაუბრეს. საუბარი შეეხო ასევე როგორც რეგიონში მიმდინარე ასევე, საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს.
- ბელარუსის რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარესთან, სერგეი რახმანოვთან გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა ისაუბრეს ინოვაციური და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზე, სხვადასხვა ფორმატებში.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორმხრივი შეხვედრა გამართა გიორგი ვოლსკიმ საპარლამენტთაშორისო კავშირის გენერალურ მდივანთან, მარტინ ჩუნგონგთან, სადაც თბილისში, ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო კონფერენციის გამართვასთან დაკავშირებული დეტალები განიხილეს. გენერალური მდივნის მხრიდან ხაზი გაესვა საქართველოსადმი საერთაშორისო ნდობას და საგანგებო როლს რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

საქართველოს პარლამენტისა და საპარლამენტთაშორისო კავშირის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო კონფერენციას, საქართველო 2021 წელს უმასპინძლებს.

<u>პარლამენტის გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) შეხვედრები:</u>

- პარლამენტის გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) შეხვედრები ტრადიციულად გაიმართა ასამბლეის პარალელურად, რომლის მუშაობაშიც საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, გივი მიქანაძე, აღმასრულებელი კომიტეტის წევრის სტატუსით მონაწილეობდა.
- გივი მიქანაძემ ღონისძიებაზე წარადგინა მოხსენება საქართველოს პარლამენტის აპარატში ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების თაობაზე. აპარატის უფროსმა მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა სასწავლო ცენტრში შიდა ტრენერთა ჯგუფის შექმნა-ჩამოყალიბებაზე, მომზადებულ სასწავლო სილაბუსებსა და ტრენინგ პროგრამებზე, სტაჟირების ახალ მოდელზე, სასწავლო კალენდარსა და თანამშრომლობაზე სხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან.
- განსაკუთრებული აქცენტები საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა პარლამენტის სასწავლო ცენტრში მიმდინარე წლის სექტემბერში დანერგილ დისტანციურ სწავლებაზე გაამახვილა. დეტალურად გააცნო კოლეგებს დისტანციური სწავლების მექანიზმი და ფორმატი.

- შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს პარლამენტში საგანმანათლებლო კუთხით გატარებულ რეფორმას. გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩატარდეს მსოფლიოს მასშტაბით კვლევა იმ საუკეთესო გამოცდილებების გაზიარების კუთხით, რაც პარლამენტის სასწავლო ცენტრების საქმიანობას უკავშირდება. რიგმა ქვეყნებმა გამოთქვეს სურვილი სასწავლო ვიზიტით ეწვიონ საქართველოს პარლამენტს სასწავლო ცენტრს, გამოცდილების შესწავლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ირაკლი ბროკიშვილი
დელეგაციის მდივანი